სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტი 2021 წელს შეადგენდა 4,890,000.00 ლარს, დაზუსტებული 3,702,100 ლარს, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3,669,258 ლარი (ათვისების 99.1%).
2021 წელს საკუთარი სახსრებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 29,008 ლარი, ხოლო მიზნობრივი გრანტებით ჩარიცხულმა თანხამ 1,082,675.00 ლარი.

ცენტრმა 2021 წელს სხვადასხვა მომსახურების თუ საქონლის შესყიდვის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ჩაატარა 20 ტენდერი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1,463,359.14 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მოხდა 72 შესყიდვის განხორციელება 1,050,952.72 ლარის ღირებულებით.

ამასთან, 2021 წელს სხვადასხვა მომსახურების თუ საქონლის შესყიდვის მიზნით საკუთარი შემოსავლებისა და მიზნობრივი გრანტების დაფინანსებით ჩაატარა 9 ტენდერი, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 217,786.00 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით მოხდა 42 შესყიდვის განხორციელება 193,821.74 ლარის ღირებულებით.